საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარდანისძენი

ვარდანისძენი, დიდ ფეოდალთა საგვარეულო XI–XV სს. საქართველოში. სავარაუდოა, რომ წარმოდგება მარუშიანთა (მარუშისძეთა) საგვარეულოდან. შემდეგ „მარუშიანი" ვარდანისძეთა გვარში პირის სახელად დამკვიდრდა. ისტ. წყაროების მიხედვით, ვ-თა გვარის პირველი წარმომადგენელი და მისი დამფუძნებელი ჩანს სვანთა ერისთავი ვარდან, რ-იც საქართვ. მეფე გიორგი II-ის დროს მოღვაწეობდა. სხვა დიდ ფეოდალებთან ერთად ისიც განუდგა მეფეს. გიორგი II-ს ჯილდოებითა და წყალობით შემოურიგებია გამდგარი დიდგვარიანები, მათ შორის ვარდანი და მისთვის ასკალანა უბოძებია. ვ-თა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ერისთავთერისთავები, სვანთა ერისთავები. სხვადასხვა პერიოდში მეფის კარზე მათ ჰქონდათ სხვადასხვა სავაზირო ხელი: ერთიანი საქართვ. მეფის მეჭურჭლეთუხუცესობა, ლიხთ-იმერეთის მეფის მსახურთუხუცესობა, მეჭურჭლეთუხუცესობა და მანდატურთუხუცესობა, სავარაუდოა, რომ ვ-თა საგვარეულოს განშტოება იყო დადიანთა გვარი. XII ს. 80-იან წლებში სვანთა ერისთავად იხსენიება ბარამ ვარდანისძე, მეჭურჭლეთუხუცესად – კახაბერ ვარდანისძე (ყუთლუ–არსლანის გადაყენების შემდეგ, აბულასანისათვის მეჭურჭლეთუხუცესობის ბოძებამდე); ვარდანისძე უნდა იყოს, აგრეთვე იმ დროს ჩუხჩარხად მოხსენიებული მარუშიანიც. თამარის ისტორიკოსი კახაბერ ვარდანისძეს, სხვა მოხელეებისაგან გამორჩევით, საგანგებოდ უწოდებს „დიდსა და გვარიან კაცს". ვ-თა წარჩინებაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ისინი ლიხთიმერეთის ორ სხვა საგვარეულოსთან (საღირისძეებთან და ამანელისძეებთან) ერთად მონაწილეობდნენ თამარის კურთხევაში. მათ ჩააბარეს თამარს მთავარსარდლის ინსიგნია – ხმალი. დას. საქართვ. დიდგვარიანთა და, კერძოდ, ვ-თა დაწინაურებას სამეფო კარზე ხელი შეუწყო დემნა უფლისწულის აჯანყებამ (1177), რ-შიც უმთავრესად აღმ. საქართველოს დიდგვარიანები მონაწილეობდნენ, ხოლო გიორგი რუსის აჯანყებამ (1191), რ-შიც ძირითადად დას. საქართველოს დიდგვარიანები (და მათ შორის ვარდანისძეებიც) მონაწილეობდნენ, გამოიწვია ამ საგვარეულოს სამეფო კარისაგან ჩამოცილება. XII ს. 80-

იანი წლებიდან XIII ს. II ნახევრამდე ვ-თ აღარ ჰქონდათ სახელმწ. უწყების გამგებლობა (უხუცესობა). ლიხთ-იმერეთში დავით ნარინის მიერ ცალკე სამეფო დინასტიის დაფუძნებამ კვლავ დააწინაურა დას. საქართველოს დიდგვარიანები, მათ შორის ვ-ც. ისინი კვლავ იღებენ სამეფოს ვაზირის – უხუცესის – სხვადასხვა სახელოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979; შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., XII–XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, «ცისკარი», 1965, №9.

ნ. შოშიაშვილი